15.01.2025

სკოლის გაზეთი

ევროპული სკოლა

CITIUS, ALTIUS, FORTIUS

უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერად

დირექტორის მისალმება

ძვირფასო ევროპული სკოლის საზოგადოებავ!
ახალი მიზნები, ახალი მიღწევები, საერთო ხედვა, რომელიც გვაერთიანებს - აი, როგორ იწყება ახალი სასწავლო წელი ევროპულ სკოლაში.

Citius, Altius, Fortius!

2024-2025 სასწავლო წლის ამ დაუვიწყარი მოგზაურობის სტარტზე, ვიხსენებ ოლიმპიურ გამოთქმას: **Citius, Altius, Fortius** - უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერად. ეს სიტყვები მხოლოდ დევიზი არ არის! ამავდროულად ეს არის მოწოდება მოქმედებისთვის, აზროვნების მიმართულება და ცხოვრების სტილია, რომლებიც გვიბიძგებენ სრულყოფილებისკენ, ზრდისკენ და იმ მიზნისადმი სწრაფვისკენ, რომლის მიღწევაც შეუძლებლად მიგვაჩნდა.

უფრო სწრაფად (Citius): ინოვაციის გზით სვლა

მსოფლიო, რომელიც უპრეცედენტო სიჩქარით ვითარდება, გვავალდებულებს, ჩვენი მოსწავლეები აღვჭურვოთ ისეთი უნარებით, რისი მეშვეობითაც იოლად უნდა შეძლონ ადაპტაცია, ინოვაციების შემუშავება და ლიდერობა. ციფრულ ტრანსფორმაციაზე ყურადღების გამახვილებით, ჩვენ არა მხოლოდ ვინარჩუნებთ ცვლილებების ტემპს, არამედ ვუსწრებთ მათ. ცნობისმოყვარეობის, შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების წახალისებით, ვაძლიერებთ ჩვენი მოსწავლეების უნარებს, რათა მეტი თავდაჯერებით დაძლიონ სირთულეები.

უფრო მაღლა (Altius): ამბიციური მიზნების დასახვა

წლეულს უფრო მაღალ მიზნებს ვისახავთ ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ. იქნება ეს, აკადემიური სრულყოფილება, პიროვნული ზრდა თუ საზოგადოების ჩართულობა, ჩვენ ვზრდით ჩვენს სტანდარტებს. მაღალი ხარისხის სწავლა-სწავლების მეშვეობით, უზრუნველვყოფთ, რომ თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს შესაძლებლობა, სრულად გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი. ჩვენი ინკლუზიურობის, მრავალფეროვნებისა და მდგრადობის პრინციპები ქმნის საზოგადოებას, სადაც ყველას ხმა ისმის და ყველა მიზანი მიღწევადია.

უფრო ძლიერად (Fortius): გამძლეობისა და ერთიანობის განმტკიცება

ძალა ერთობაშია! „ევროპულ სკოლაში“ ჩვენ ვქმნით თანამშრომლობის, პატივისცემისა და საერთო მიზნის კულტურას. ჩვენი საზოგადოების კეთილდღეობისადმი ერთგულება

უზრუნველჰყოფს, რომ სკოლის საზოგადოება (მოსწავლეები, მშობლები და თანამშრომლები) გრძნობდეს მხარდაჭერას, დაფასებას და ურთიერთკავშირს. ერთად ჩვენ ვუპირისპირდებით გამოწვევებს, სიამაყით აღვნიშნავთ წარმატებებს და ყოველი ახალი გამოცდილებით კიდევ უფრო ძლიერები გავხდებით.

ჩვენი საერთო ხედვა

ჩვენი სკოლის მისიითა და ხედვით ვქმნით მომავალს, სადაც ჩვენი მოსწავლეები იზრდებიან და ყალიბდებიან პასუხისმგებლიან გლობალურ მოქალაქეებად. სრულყოფილებისკენ სწრაფვით, ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას, რომ უზრუნველვყოთ განათლება, რომელიც მოსწავლეებს ამზადებს დინამიური და სწრაფგანვითარებადი მსოფლიოსთვის.

სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიმართულებები

ციფრული ტრანსფორმაცია: ვავითარებთ ციფრულ უნარებს, რათა სტუდენტები და პერსონალი მზად იყვნენ ტექნოლოგიური ლანდშაფტის მუდმივი ცვლილებებისთვის.
გლობალური მოქალაქეობა: ვზრდით გლობალურ პერსპექტივას, ვამზადებთ მოსწავლეებს მრავალფეროვან კულტურებთან ნაყოფიერი ურთიერთობისთვის და გლობალურ საზოგადოებაში პოზიტიური წვლილის შეტანისთვის.
საზოგადოების კეთილდღეობა: ვახორციელებთ ინიციატივებს, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ მენტალურ ჯანმრთელობას, გამძლეობასა და კუთვნილების განცდას.
CIS აკრედიტაცია: ეს პროცესები ასახავს ჩვენს ერთგულებას საერთაშორისო სტანდარტების დაცვისა და მუდმივად განვითარებისადმი, ჩვენს სწრაფვას სრულყოფილებისადმი.

ჩვენი სწრაფვა სრულყოფილებისადმი

მოგიწოდებთ, ყველამ, მოსწავლეებმა, მშობლებმა, მასწავლებლებმა და თანამშრომლებმა, ერთად განვაგრძოთ ეს წინსვლის, ზრდისა და მიღწევების გზა.
Citius, Altius, Fortius-ის სულისკვეთება მოგვიწოდებს — მოდით, უფრო სწრაფად ვიაროთ ინოვაციებისკენ, დავისახოთ უფრო მაღალი მიზნები და უფრო გავძლიერდეთ, როგორც საერთო მისწრაფებებით გაერთიანებული საზოგადოება.
მოდით, ეს აკადემიური წელი ერთად ვაქციოთ წარმოუდგენელი შესაძლებლობების წლად!

სოფიო ბაზაძე
“ევროპული სკოლის” დირექტორი

ევროპული სკოლა - საერთაშორისო განათლების ლიდერი

ევროპული სკოლა რეგიონალური და გლობალური განათლების სფეროში მტკიცე ლიდერად გვევლინება. სკოლა ინოვაციებისა და სრულყოფილებისაკენ სწრაფვითა და დევიზის - Citius, Altius, Fortius (უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერად) ერთგულებით ფართოდ უღებს შესაძლებლობათა კარს საკუთარ მოსწავლეებს. გლობალურ ღონისძიებებში მონაწილეობით, ლიდერები და მასწავლევბლები მომავალი თაობისთვის იკვლევენ გზას კომპლექსური, ჰუმანური და ციფრული შესაძლებლობების მქონე სამყაროში.
ამჯერად სიხარულით გაგიზიარებთ ჩვენი საერთაშორისო გამოცდილებიდან რამდენიმე საინტერესო ეპიზოდს.

სიახლეების ხედვა: მსოფლიო მარკეტინგის სამიტი

ეს მოგზაურობა დავიწყოთ მსოფლიო მარკეტინგის სამიტით(WMS), რომელიც დააარსა თანამედროვე მარკეტინგის მამად წოდებულმა დოქტორმა ფილიპ კოტლერმა. ღონისძიება, რომელიც 7-8 დეკემბერს გაიმართა, აერთიანებდა 150-ზე მეტ საერთაშორისო ლიდერს ისეთი ინდუსტრიული გიგანტებიდან, როგორებიცაა Meta, Google და Apple. სამიტის თემამ – „ციფრული ბიზნესის

ტრანსფორმაციისა და ხელოვნური ინტელექტის გაცნობიერება“ – განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მონაწილეებში, მათ შორის ევროპული სკოლის დელეგაციაში.

სკოლის დირექტორმა, სოფიო ბაზაძემ, აუდიტორიას წარუდგინა პრეზენტაცია სახელწოდებით “ინოვაციისა და სრულყოფის მოგზაურობა”, რომელიც ხაზს უსვამდა განათლების როლს გლობალური ცვლილებების მართვაში. ღონისძიების შემდგომ ქალბატონმა სოფომ თავის სიტყვაში აღნიშნაა:

„განათლება ყველაზე ძლიერ იარაღად რჩება უკეთესი და ნათელი მომავლის შესაქმნელად. ჩვენი მისიაა, აღვზარდოთ ინოვაციებით აღჭურვილი კეთილსინდისიერი ლიდერები.”

ეს აქცენტი ტრანსფორმაციულ განათლებაზე ხაზს უსვამს სკოლის ვალდებულებას, მოამზადოს მოსწავლეები საჭირო ინსტრუმენტებით მზარდ ციფრულ სამყაროში წარმატების მისაღწევად.

კოლაბორაციის ხელშეწყობა: CIS 2024 საერთაშორისო ფორუმი

ევროპული სკოლის კოლაბორაციისადმი სწრაფვა ცხადად გამოვლინდა CIS 2024 წლის საერთაშორისო ფორუმზე, რომელიც გაიმართა ბაზელში, შვეიცარიაში. ღონისძიებაზე, რომელშიც 478 უნივერსიტეტის წარმომადგენელი და 288 სკოლის კონსულტანტი მონაწილეობდა 67 ქვეყნიდან, განიხილეს საერთაშორისო ჩარიცხვებისა და კარიერული განვითარების კონსულტაციის უახლესი ტენდენციები.

ევროპული სკოლის საუნივერსიტეტო და კარიერის დაგეგმვის მრჩევლები ესწრებოდნენ ფორუმს და გვიზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს.

ქეთი ჯოლია: “საერთაშორისო სკოლების საბჭოს ფორუმი თანამშრომლობისთვის მოწოდებულ გარემოს ქმნის და გვეხმარება ჩვენი მოსწავლეებისა და ინსტიტუციების ინტერესების უკეთ დაცვაში. კოლეგების მიერ ჩატარებული ვორქშოფები უზრუნველყოფს ჩართულობას მნიშვნელოვან დისკუსიაში და გვეხმარება საუკეთესო გლობალური პრაქტიკის ათვისებასა და დანერგვაში.”

ნონა სიჭინავა: “CIS ფორუმი ქაუნსელინგის სფეროს პროფესიონალებს აძლევს საშუალებას, გაუზიარონ ერთმანეთს ურთიერთგანმავითარებელი იდეები. ჩვენ ვმუშაობთ ერთად, რომ მოსწავლეებისთვის განათლების შესაძლებლობებზე მაქსიმალური წვდომა უზრუნველვყოთ.”

ეს ხედვები ასახავს და აძლიერებს სკოლის ზოგად მიზნებს - მოსწავლეთა გლობალური განათლებისა და წარმატების ხელშეწყობას.

ლიდერთა გზაზე: Cognia IMPACT კონფერენცია

სკოლის საერთაშორისო ასპარეზზე მონაწილეობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო Cognia IMPACT-ის კონფერენცია აბუ-დაბიში. საერთაშორისო პროგრამების დირექტორმა, დოქტორ ბრაის ბომომ და ამერიკული უმაღლესი სკოლის აკადემიურმა დეკანმა, ქალბატონმა ნათია თევზაძემ მონაწილეობა მიიღეს ამ ღონისძიებაში, რომლის სამუშაო შეხვედრები და დისკუსიები მიეძღვნა სკოლის განვითარების უწყვეტ სტრატეგიებს. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ძირითადი მოხსენებები და თემატური სესიები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა აკრედიტაცია, სასწავლო კულტურა და ლიდერობა.

დოქტორმა ბომომ აღნიშნა: “Cognia IMPACT-ის მსგავსი კონფერენციები, გვახსენებს თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას. ერთად ჩვენ შეგვიძლია დავძლიოთ გამოწვევები და შევქმნათ მოსწავლეთა სრულყოფილი ზრდისა და განვითარებისათვის შესაფერისი გარემო. “

ქალბატონმა ნათია თევზაძემ ასევე გაგვიზიარა თავისი შეხედულება:

„Cognia IMPACT კონფერენციაში მონაწილეობა იყო შთამაგონებელი გამოცდილება. კონფერენციამ მოგვაწოდა პრაქტიკული და ინოვაციური იდეები, რომლებიც დაეხმარება მენეჯმენტის გაძლიერებას და მოსწავლეების წარმატების ხელშეწყობას მუდმივად ცვალებად საგანმანათლებლო გარემოში.“ ამ გამოცდილებამ კიდევ ერთხელ გააძლიერა სკოლის მიზანი – შექმნას ინოვაციური და ინტერკულტურული გარემო განათლებაში.

"ლიდერობა მაგალითის ჩვენებით" - IB ლიდერთა სემინარი

ევროპულმა სკოლამ სრულყოფისაკენ სწრაფვის გზაზე კიდევ ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც გაიმართა დიუსელდორფში, გერმანიაში. ეს სემინარი, სახელწოდებით "ლიდერობა მაგალითის ჩვენებით" აერთიანებდა IB-ის ლიდერებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, რათა გაეზიარებინათ იდეები და სტრატეგიები განათლების მომავლის შესაქმნელად.

საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო და კარიერული პროგრამების ხელმძღვანელმა, დავით კბილაშვილმა, აღნიშნა:

„განათლების ლიდერობა უწყვეტი ზრდის პროცესია. მსგავსი ღონისძიებები უზრუნველყოფს, რომ განათლების ავანგარდში დავრჩეთ და ჩვენი მოსწავლეები თანამედროვე სამყაროში წარმატებისთვის მოვამზადოთ.“

ეს ხედვა სრულად გამოხატავს სკოლის ფილოსოფიას – უწყვეტი განვითარება მსოფლიო დონის განათლების უზრუნველსაყოფად.

სკოლის ერთიანი ხედვა - გლობალური უპირატესობა

მსოფლიო მარკეტინგის სამიტიდან დაწყებული CIS გლობალურ ფორუმამდე, Cognia IMPACT კონფერენციითა და IB-ს ლიდერობის სემინარით დასრულებული, ევროპული სკოლის მოგზაურობა ასახავს მის სწრაფვას ინოვაციების, კოლაბორაციისა და ლიდერობისაკენ. ეს ღონისძიებები არ არის უბრალოდ მნიშვნელოვანი ეტაპები—ეს არის ერთმანეთთან დაკავშირებული ძაფები, რომლებიც სკოლის წინსვლასა და გლობალურ სივრცეში მის სრულყოფილ ინტეგრაციას განსაზღვრავს.

სკოლის მიღწევებზე საუბრისას, სკოლის დირექტორმა, სოფიო ბაზაძემ აღნიშნა:

„განათლება არის გასაღები უკეთესი სამყაროს შესაქმნელად და ჩვენი მოსწავლეები ის ლიდერები არიან, რომლებიც ამ სამყაროს შექმნიან.“

ევროპული სკოლა აგრძელებს მონაწილეობას გლობალურ პლატფორმებზე. იგი რჩება ერთგული მისიისა, მოამზადოს მოსწავლეები მომავალისთვის, რომელიც ხასიათდება ინოვაციებით, ემპათიით და გამძლეობით. თითოეული ახალი შესაძლებლობისა და გამოწვევის მიღებით სკოლა განიმტკიცებს თავის ადგილს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

ნანა მუქერია
ASAS მოსწავლეთა საზოგადოებრივი ჩართულობის კოორდინატორი

გლობალური პერსპექტივების გათავისება: ინტერკულტურული აზროვნების განვითარება ევროპულ სკოლაში

დღესდღეობით, როდესაც მსოფლიოში კავშირები გაძლიერებულია, ინტერკულტურული აზროვნების წახალისებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ევროპულ სკოლაში ჩვენ გჯერა, რომ მრავალფეროვნების მიღება და გლობალური პერსპექტივების გათავისება აუცილებელია იმისათვის, რომ ჩამოვაყალიბოთ განვითარებული, მრავალმხრივ განათლებული ინდივიდები, რომლებიც მზად არიან სწრაფად ცვალებადი სამყაროში წარმატების მისაღწევად. ჩვენი ინტერნაციონალური მიდგომები გაჟღერებულია სკოლის საგანმანათლებლო ფილოსოფიაში: ჩვენ ვცდილობთ, შევქმნათ სასწავლო გარემო, რომელიც აღვივებს მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს ემპათიასა და სხვადასხვა კულტურების მიმართ პატივისცემას.

ინტერკულტურული სწავლება არ შემოიფარგლება მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნების ტრადიციების შესწავლით. ეს მოიცავს საკუთარი და სხვათა კულტურების შესახებ უფრო ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის მიღებას, განსხვავებული პერსპექტივების აღიარებასა და დაფასებას, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ხიდების გადებას კულტურებს შორის. მრავალფეროვანი აქტივობებისა და ღონისძიებების მეშვეობით ჩვენ ვცდილობთ ამ სასიცოცხლოდ აუცილებელი უნარების განვითარებას ჩვენს მოსწავლეებში.

ინტერკულტურული გამოცდილებების მოზაიკა

სასწავლო წლის მანძილზე ჩვენი სკოლა მართავს მრავალფეროვან ღონისძიებებს, სადაც კულტურათა მრავალფეროვნებისა და ინტერკულტურული გაგების წახალისება ხდება. ესენია:

• გასტრონომიული ფესტივალი: მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის (PTA) მიერ ორგანიზებული ფესტივალი გაიმართა სურსათის საერთაშორისო დღეს. მშობლებმა წარმოადგინეს 17 ქვეყნის ტრადიციული კერძები, თითოეული მაგიდა მორთეს სუვენირებითა და კულტურის ელემენტებით, ბევრი მშობელი ნაციონალურ კოსტიუმებში გამოეწყო, რამაც ფესტივალის ატმოსფერო კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა. ეს ღონისძიება მხოლოდ გემრიელი კერძების დეგუსტაციას არ ისახავდა მიზნად, იგი იყო კულტურათა გლობალური ზეიმი, სადაც მშობლები სკოლის საზოგადოების სხვა რგოლებთან გაერთიანდნენ, გაგვიზიარეს კულინარიული ტრადიციები საკუთარი ქვეყნებიდან, და შექმნეს ჯანსაღი სანახაობა. მოხარული ვართ, რომ ამ ღონისძიების ფარგლებში შეგროვებული ფულადი რესურსი მოხმარდა საქველმოქმედო ინიციატივებს, რომლებიც მიმართული იყო შიმშილის აღმოფხვრისკენ.

• ტოლერანტობის საერთაშორისო დღე (IB DP/CP): ეს არის ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც ჩვენი ერთიანობისა და პატივისცემის გამოძახილია. DP/CP საზოგადოებამ ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს მოაწყო ღონისძიება თემაზე: „ერთი სამყარო, ბევრი ხმა: ტოლერანტობისა და კულტურათა პატივისცემის ზეიმი“. ღონისძიებაზე გაიმართა ინტერაქციული თამაშები, ლიტერატურული პროექტების წარდგენა, სადაც გამოჩნდა ხელოვნების ძალა, დააკავშიროს ადამიანები. მნიშვნელოვანი მომენტი იყო კულტურათა გამოფენა, რომელზეც ჩვენმა მოსწავლეებმა წარმოაჩინეს სხვადასხვა ტრადიციები და ფასეულობები, ნათლად დაგვანახეს, თუ რამდენად ძლიერი და მშვენიერია ჩვენს

საზოგადოებაში წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობები, ინკლუზიური გარემო, სადაც ყველა დაფასებულად გრძნობს თავს და კიდევ ერთხელ გაგვააზრებინეს განსხვავებული პერსპექტივების აღიარების მნიშვნელობა.

• ინტელექტუალური თამაში: რა? სად? როდის?(ქართული პროგრამა): ქართული პროგრამის მოსწავლეებმა ცოტა ხნის წინ წამოიწყეს საინტერესო საგანმანათლებლო თამაში სახელწოდებით: „ნაბიჯ-ნაბიჯ ევროპისკენ“. თამაში მიზნად ისახავს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას ევროკავშირის ქვეყნების კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების თემების ირგვლივ. თამაშის მეორე რაუნდი გერმანიას მიეძღვნა, სადაც **ინტერაქციული** კითხვებით მოსწავლეებმა გაიღრმავეს ცოდნა გერმანიის მდიდარი ისტორიისა და კულტურის შესახებ.

• ASAS მოსწავლეთა პარლამენტი სკოლის ეთიკისთვის: პარლამენტის ინიციატივა ეთიკური ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით, ინკლუზიურობისა და პატივისცემის საკითხების განხილვა, დადებით გავლენას ახდენს სკოლის გარემოს ჰარმონიზაციასა და კულტურათა მიმართ დადებითი მგრძნობელობის გაზრდაზე. ინკლუზიურობისა და პატივისცემის თემების წამოწევით პარლამენტი აქტიურად ქმნის გარემოს, სადაც სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის მქონე მოსწავლეები თავს დაფასებულად გრძნობენ.

• PYP-ის პროექტი - ძველი ჩინეთი: ძველი ცივილიზაციების შესწავლისას მესამე კლასის მოსწავლეებმა განიხილეს ძველი ჩინეთი. ისინი გაეცნენ ჩინურ გამოგონებებსა და აღმოჩენებს, ბოლოს კი, შეძენილი ცოდნის საფუძველზე, მთვარის ახალი წლის ლეგენდის მიხედვით, დადგეს სპექტაკლი. პროექტში მუსიკისა და ხატვის მასწავლებლების მონაწილეობა შემოქმედებითობისა და გუნდურობის გამოვლენაში დაეხმარა მოსწავლეებს.

• PYP-ის გლობალური კავშირები: PYP-ის მეორე კლასის მოსწავლეებმა გამართეს ონლაინ ჩართვა ჩინეთის IB სკოლასთან. მათ განიხილეს როლები და პასუხისმგებლობები სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში და ერთმანეთს გაუზიარეს ტრადიციები და პერსპექტივები. საუბარში გამოიკვეთა მსგავსებები და განსხვავებები ოჯახის მნიშვნელობისა და გუნდური პასუხისმგებლობების საკითხებში. ამ **მულტიკულტურულმა** დიალოგმა ხელი შეუწყო განსხვავებული აზრის მიმღებლობას, გააღრმავა გლობალური მრავალფეროვნების გაგება, დაეხმარა მოსწავლეებს, გახდნენ ემპათიური გლობალური მოქალაქეები.

ამ ინიციატივებსა და მრავალ სხვა პროექტში ჩანს ევროპული სკოლის სწრაფვა, შექმნას მზრუნველი გარემო, სადაც მოსწავლეები მიიღებენ საჭირო ცოდნას და განივითარებენ უნარებს გლობალურ სამყაროში წარმატების მისაღწევად. მრავალფეროვნების, გლობალური პერსპექტივების გააზრებითა და ინტერკულტურული გაგების ხელშეწყობით ჩვენ ვეხმარებით მოსწავლეებს, გახდნენ პასუხისმგებლიანი გლობალური მოქალაქეები, რომლებიც დადებით როლს ითამაშებენ მსოფლიოს განვითარებაში.

ქეთი გურამიშვილი
MYP SA კოორდინატორი

“ლიტერატურული კვირეული“ წიგნიერების წასახალისებლად

ალბათ, ბევრს უკვირს, რა საჭიროა ამხელა ხმაურის ატეხა ისეთი ჩვეულებრივი მოვლენის გარშემო, როგორიცაა წიგნის კითხვა და წიგნიერება. არადა წიგნიერება ხელს უწყობს მრავალმხრივი უნარების განვითარებას: კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებითობას, არგუმენტირებულ მსჯელობას, დისკუსიისა და ანალიზის უნარს. ამიტომაც, წიგნის პოპულარიზაციის მიზნით, „ევროპულ სკოლაში“ უკვე მეექვსედ ჩატარდა „ლიტერატურული კვირეული“, რომელიც მსოფლიოში ყველასათვის საყვარელი საბავშვო მწერლის ასტრიდ ლინდგრენის დაბადების დღეს, 14 ნოემბერს მიეძღვნა.

“ლიტერატურულ კვირეულის“ მიზანია წიგნის კითხვის წახალისება და წიგნიერების დონის ამაღლება მოსწავლეებში. კვირეულის ფარგლებში ყოველწლიურად იმართება შეხვედრები მწერლებთან, გამომცემლებთან, ილუსტრატორებთან, ენათმეციერებთან, მთარგმნელებთან და მხატვრებთან. მოსწავლეები ხალისით ერთვებიან: წიგნის ხმამაღლა კითხვაში, ლიტერატურულ დისკუსიებში, მოთხრობის წერის მასტერკლასში, თემატურ გამოფენებში, როლურ თამაშებში და სხვ.

“ლიტერატურული კვირეული-2024“-ის პროგრამა ძალიან მრავალფეროვანი, შემეცნებითი და შინაარსიანი აღმოჩნდა: მხატვარმა ზალიკო სულაკაურმა გამართა მასტერკლასი „როგორ დავხატოთ პეპი“, სადაც ასტრიდ ლინდგრენის გმირების კოსტიუმებში გამოწყობილმა მოსწავლეებმა მხატვართან ერთად შექმნეს ილუსტრაციები; პოეტმა და ენათმეცნიერმა დიანა ანფიმიადმა ისაუბრა საბავშვო ლიტერატურაზე, წიგნიერების როლზე ყოველდღიურ ცხოვრებაში და ოთხი პერსონაჟის მიხედვით კრეატიული წერის შესაძლებლობა მისცა
მოსწავლეებს; სკოლაში სტუმრად გვყავდნენ გამომცემლობები: „სულაკაურის გამომცემლობა”, „პალიტრა L“, English Book და „შემეცნება“; მოეწყო „წიგნის ფესტივალი“, სადაც მოზარდებმა შეარჩიეს მათთვის სასურველი საბავშვო ლიტერატურა და მოიმარაგეს ზამთრის საკითხავი; უფროსკლასელები დაესწრნენ მწერალ გიორგი კეკელიძის ლექციას „ლიტერატურა და ანიმაცია“ და გაავლეს პარალელები ანიმაციასა და ლიტერატურას შორის; პეპის მსგავსად მოსწავლეებმა გამართეს საქველმოქმედო აქცია და „ლომისას წმინდა გიორგის დედათა და ბავშვთა თავშესაფრის“ პატარებს ტკბილეული და საჩუქრები მიუტანეს;

მწერალმა გურამ მეგრელიშვილმა წარადგინა საკუთარი წიგნი „როგორ დავწეროთ მოთხრობა“ და წიგნით დაინტერესებული მოსწავლეებისთვის ავტოგრაფსესია გამართა; მოზარდებმა მსოფლიოში ცნობილი პერსონაჟების კოსტიუმები მოირგეს და პერფორმანსი წარმოგვიდგინეს; სკოლის მთავარ ჰოლში საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟების ნახატების გამოფენაც მოეწყო.

LIFELONG LEARNING

წიგნის მოყვარულმა მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა მართლაც იმოგზაურეს ლიტერატურის სამყაროში, გაუზიარეს ერთმანეთს შთაბეჭდილებები ახალი წიგნების, თარგმანებისა თუ პერსონაჟების შესახებ და კიდევ ერთხელ შეიგრძნეს წიგნისა და ლიტერატურის ძალა.

ნინო კუსრაშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და
სოციალური მედიის მენეჯერი

გაიცანით „ევროპული სკოლის“ წარმატებული მოსწავლე ვახტანგ ლემონჯავა!

ვატო ჯერ კიდევ ევროპული ბაღის აღსაზრდელი იყო, როდესაც მასწავლებლებმა შეამჩნიეს, რომ პატარა, მოუსვენარი, ცელქი ბიჭუნა განსაკუთრებულად ნიჭიერი და გონიერი ბავშვი იყო.

ვატო, როგორც ვიცით, ბაღის ასაკიდან დადიოდი სპორტის სხვადასხვა სახეობაზე - ფეხბურთზე, ცურვაზე, კალათბურთზე, საბოლოოდ არჩევანი საბრძოლო ხელოვნებაზე შეაჩერე. რატომ მაინცდამაინც კარატე?

ამ საბრძოლო ხელოვნებამ ყველაზე მეტად მომხიბლა, რადგან აღმოვაჩინე, რომ სწორედ კარატემ გამაძლიერა არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერად, უფრო მეტი თავდაჯერებულობა შემძინა, მეტად მიზანდასახული გავხდი, ბავშვობიდან ვოცნებობდი, რომ ყველაზე ძლიერი ვყოფილიყავი, თან ვვარჯიშობდი თან სიმოვნებას ვიღებდი, არასოდეს ვიღლებოდი, - იხსენებს უკვე ამ გადასახედიდან „ევროპული სკოლის“ წარმატებული მოსწავლე ვახტანგ ლემონჯავა.

EXCELLENCE

ვატომ წელს ეს ოცნება აიხდინა, მონაწილეობა მიიღო ვარშავაში ჩატარებულ ევროპულ ტურნირზე და საპრიზო ვერცხლის მედალი მოიპოვა. ეს დიდი სტიმული აღმოჩნდა მისთვის, არ აპირებს გაჩერებას და ემზადება უფრო დიდი გამარჯვებებისთვის საერთაშორისო ასპარეზზე.
ვატო სახელოვანი სენსეის, გრიგოლ დარჩიაშვილის აღზრდილია.
ბატონი გრიგოლი იხსენებს, რომ ვატო მისთვის განსაკუთრებული შეგირდი იყო.

ჩემთვის ჩემი აღსაზრდელების სიბეჯითე, შრომისმოყვარეობა და მიზანდასახულობა, არა მხოლოდ სპორტულ კარიერაშია მნიშვნელოვანი, არამედ სხვა საქმიანობაშიც, პირველ რიგში - სწავლაში. მე მკაცრად მოვითხოვ მათგან აკადემიურ წარმატებას.

და მართლაც, ვატო მხოლოდ საბრძოლო ხელოვნებაში არ არის გამარჯვებული, მიმდინარე წლის აგვისტოში, პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, „ევროპული სკოლის“ გუნდთან ერთად მონაწილეობა მიიღო ამერიკაში, ნიუ-იორკის შტატის როჩესტერის ტექნოლოგიების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ Genius Olympiad-ში, საიდანაც მონაწილეებმა ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანეს და კიდევ ერთხელ ასახელეს ქვეყანა და მშობლიური სკოლა.
ვატო არის ძალიან ნიჭიერი, გონიერი, შრომისმოყვარე მოსწავლე, უკვე მეორე წელია ევროპული სკოლის დამფუძნებელთა გრანტის მფლობელია, არის აქტიურად ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, იქნება ეს თვითმმართველობის არჩევნები, სასკოლო ღონისძიებები, ოლიმპიადები თუ კონფერენციები.
„ევროპული სკოლა“ მუდამ ამაყობს თავისი წარჩინებული და სხვადასხვა საქმიანობაში წარმატებული მოსწავლეებით და კურსდამთავრებულებით.
ამჟამად - იცნობდეთ ვახტანგ ლემონჯავას!

თამარ ლომიძე
ქართული ენის პედაგოგი

ნინა ბიწკინაშვილი - ISTE-ის მიერ სერტიფიცირებული მასწავლებელი

ევროპული სკოლის ტექნოლოგიების მასწავლებელი ნინა ბიწკინაშვილი ტექნოლოგიისა და განათლების საერთაშორისო საზოგადოების (ISTE) პრესტიჟული სერტიფიკატის მფლობელი გახდა. ეს მიღწევა ხაზს უსვამს არამარტო ნინას სწრაფვას პროფესიული განვითარებისკენ, არამედ მას წარმოაჩენს საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დარგის ლიდერად, რომელიც ახლებურად იაზრებს და გარდაქმნის საკუთარი მოსწავლეების ციფრული სწავლების გამოცდილებას.

ISTE სერტიფიკატი მსოფლიოში აღიარებული კვალიფიკაციაა, რაც სწავლა-სწავლების პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრაციის კუთხით მასწავლებლის ექსპერტულ გამოცდილებაზე მოწმობს. სერტიფიცირება ორფაზიანი პროცესია, რომელიც მოიცავს ინტენსიურ ტრენინგებსა და ტექნოლოგიების პრაქტიკულ გამოყენებას სრულყოფილი პორტფოლიოს შექმნის გზით. სერტიფიკატი დასტურია ISTE

სტანდარტებზე მორგებული სწავლებისა, სადაც აქცენტი მოსწავლეზე ორინტირებული, ინოვაციური, პასუხისმგებლიანი ციფრული სასწავლო გარემოს შექმნაზე კეთდება.
გთავაზობთ ინტერვიუს ნინა ბიწკინაშვილთან, სადაც შევეცადეთ, გაგვერკვია, რა მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ სერტიფიკატს მისთვის, მისი მოსწავლეებისთვის და ზოგადად, განათლების მომავლისთვის საქართველოში.

რა იყო თქვენთვის მამოტივირებელი ISTE სერტიფიკატის მოპოვებისას?

ნინა: ყოველთვის ვიყავი მონდომებული, საკლასო სივრცეში მაქსიმალურად გამომეყენებინა ტექნოლოგიები. ტექნოლოგიები თანამედროვე ახალგაზრდების ყოველდღიურობაში სასიცოცხლო როლს თამაშობს, ამიტომ არსებითია, მოსწავლეებს ციფრული მომავლისთვის საჭირო უნარები განვუვითაროთ. ISTE სერტიფიცირების პროცესი ციფრული უნარების კიდევ უფრო დახვეწაში და ეფექტური სასწავლო გარემოს შესაქმნელად საჭირო ახალი სტრატეგიების შემუშავებაში დამეხმარა.

ISTE Certification

The International Society for Technology in Education acknowledges that

Nino Bitskinashvili

has successfully completed the ISTE Certification program and has earned the distinction of being an:

ISTE Certified Educator

Date: Friday, May 5, 2023
Expires: Tuesday, May 5, 2026
Issued by:
Richard Culatta, ISTE CEO

სერტიფიცირება ინტენსიურ ვორქშოფებსა და პორტფოლიოს მომზადების ექვსთვიან პერიოდს მოიცავს. მოგვიყვებით ამ პროცესზე უფრო დეტალურად?

ნინა: ვორქშოფი ინტენსიური და ამავდროულად უაღრესად სასარგებლო იყო. საფუძვლიანად გავერკვიე ISTE სტანდარტებში და საგაკვეთილო პროცესში მათი ეფექტურად დანერგვის სტრატეგიებში. ყველაზე საინტერესო კი პორტფოლიოს შექმნა იყო, რაც მოითხოვდა პროცესის სრულად დოკუმენტირებას, გაკვეთილების დაგეგმვას, ახალი ციფრული საშუალებების, რესურსების გამოყენებას, დაკვირვებას, თუ რა ზეგავლენას მოახდენდა ეს სიახლეები ჩემს მოსწავლეებზე. ხელშესახები შედეგების მიღება ნამდვილად კმაყოფილების მგვრიდა.

რა გავლენას მოახდენს თქვენი სერტიფიცირება მოსწავლეთა სასწავლო გამოცდილებაზე?

ნინა: საბოლოო მიზანი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ტექნოლოგიებით გამდიდრებული სასწავლო გარემოს შექმნა. სერტიფიცირების პროცესში შეძენილი უნარები და გამოცდილება მეხმარება მეტად ინტერაქციული და ცალკეული მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებული სასწავლო პროცესი შევთავაზო ჩემი გაკვეთილების ფარგლებში მოზარდებს. ისინი არ არიან ინფორმაციის პასიური მიმღებები, არამედ აქტიურად არიან ჩართულები ციფრულ გარემოში თანამშრომლობასა და პროდუქტის შექმნაში. მე მათ ვამზადებ ისეთი მომავლისთვის, სადაც ტექნოლოგიები უდიდეს როლს ითამაშებენ მათ წარმატებაში.

ISTE სტანდარტები ყურადღებას ციფრულ მოქალაქეობასა და ტექნოლოგიების პასუხისმგებლიან გამოყენებაზე ამახვილებენ. როგორ ნერგავთ აღნიშნულ პრინციპებს თქვენს გაკვეთილებზე?

ნინა: თანამედროვე ციფრულ სამყაროში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პასუხისმგებლიანი ციფრული მოქალაქეობის სწავლებას. მოსწავლეებთან, კლასში თუ მის ფარგლებს გარეთ ტექნოლოგიების ეთიკურ გამოყენებაზე, ონლაინ სივრცეში პატივისცემაზე, პირადი სივრცის ხელშეუხებლობაზე, კიბერბულინგის მიუღებლობაზე ვამახვილებ ყურადღებას. ჩემი მიზანია, დავეხმარო მათ, გახდნენ ტექნოლოგიების არამარტო მომხმარებლები, არამედ პასუხისმგებლიანი შემქმნელები, რომლებიც ციფრულ საშუალებებს სამყაროზე დადებითი ზეგავლენის მოსახდენად გამოიყენებენ.

რას ეტყოდით საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მყოფ მასწავლებლებს, რომლებიც ISTE სერტიფიკატის მოპოვებას გეგმავენ?

ნინა: მე სრული პასუხისმგებლობით ვუწევ რეკომენდაციას აღნიშნულ სერტიფიკატს. სერტიფიცირების პროცესი სერიოზული გამოწვევაა, თუმცა უაღრესად შედეგიანი. ის გაიძულებს, გამოხვიდე კომფორტის ზონიდან და ახლებურად გაიაზრო სწავლება. მათთვის, ვინც ისწრაფვის დანერგოს ტექნოლოგიები ყოველდღიურ პრაქტიკაში და მოწოდებულია, თავისი წვლილი შეიტანოს სწავლებით, სწორი გადაწყვეტილება იქნება აღნიშნულ პროცესში ჩართულობა და ნამდვილად ღირს ძალისხმევად.

რა იქნება ISTE სერტიფიცირების შემდეგ გადადგმული ნაბიჯი?



ნინა: მე ვაგრძელებ სწავლების გასაუმჯობესებლად ტექნოლოგიების გამოყენების ახალი გზების ძიებას. სერტიფიკატი სამწლიანია და მოითხოვს მუდმივ მუშაობას, მიმდინარე ინოვაციებისა და ცვლილებების თვალის დევნებას, პრაქტიკაში დანერგვას, **კრედიტების** დაგროვებას სერტიფიცირების შესანარჩუნებლად. მსურს, რაც ვისწავლე, გავუზიარო სხვა მასწავლებლებს საქართველოში. ჩემი მაგალითი მათთვის იქნება შთამაგონებელი პროფესიული განვითარების გზაზე, ჩვენ ერთად შევძლებთ რევოლუციის მოხდენას **ციფრულ** სწავლებაში. ნინას წარმატების ისტორია ნამდვილად შთამბეჭდავია. უწყვეტი განვითარებისკენ სწრაფვა და საკუთარი მოსწავლეების სასწავლო გამოცდილების გაუმჯობესება არის ISTE სერტიფიცირების არსი. ISTE სერტიფიკატის ფლობა არამარტო ნინა ბიწკინაშვილის გაკვეთილების ხარისხს აუმჯობესებს, არამედ გზას უკვალავს სხვებს, მოახდინონ განათლების ციფრული ტრანსფორმაცია.

ვამაყობთ ნინას მიღწევით, რაც ჩვენი სკოლის კედლებში თუ მის ფარგლებს გარეთ განათლების განვითარებაში დადებული კიდევ ერთი აგურია!

ქეთევან ნაჭყებია
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

არაკეთილსინდისიერების დეტექციის ინოვაციური სისტემა

ტექნოლოგიების სწრაფადგანვითარებად სამყაროში ზოგიერთი ინოვატორი შეუძლებელს შესაძლებლად აქცევს. ასეთი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება სწორედ კომპიუტერული მეცნიერებით, კერძოდ, ხელოვნური ინტელექტითა და კიბერუსაფრთხოებით გატაცებული ჩვენი კურსდამთავრებული, ზურა ქევანიშვილი. კიბერუსფრთხოების ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კონფერენცია DeepSec 2024-ზე მისი წარმატებული გამოსვლა არის ზურას კვალიფიციურობის დასტური. ტექნოლოგიების სამყაროში მისი თავგადასავალი სკოლის წლებში მიღებული შთაგონებით დაიწყო და წლების მანძილზე გაწეული შრომითა და გამოცდილებით შეივსო.

INNOVATION

ინოვაციური სისტემის დეტალები

ზურას ინოვაციური ნაშრომის წარდგენა მოხდა კონფერენცია DeepSec 2024-ზე, რომელიც ცნობილია მაღალი სტანდარტებითა და ელიტური აუდიტორიით, სადაც აკადემიური და პროფესიული მიღწევებით გამორჩეული PhD დოქტორები იყრიან თავს. მიუხედავად იმისა, რომ ზურა ჯერ მხოლოს მეოთხე კურსის სტუდენტია, იგი მოიწვიეს საკუთარი ინოვაციური პროექტის წარსადგენად. სიყალბის დეტექციის სისტემა, რომელიც ზურა ქევანიშვილმა შექმნა, ჭადრაკის ონლაინ თამაშში იყენებს ხელოვნური ინტელექტის რთულ მოდელებს და მნიშვნელოვანი სიზუსტით ახდენს დარღვევების აღმოჩენას.

„ჩემი პროექტი ეფუძნება Maia მოდელს და უნიკალურ Multi-Model Move Prediction (MMMP) ანალიზს“, -აღნიშნავს ზურა. „ეს სისტემა ნეირონულ ქსელთან დაკავშირებით ონლაინ ჭადრაკის თამაშისას ახდენს არაკეთილსინდისიერი ქცევის იდენტიფიცირებას და სამართლიანობის უპრეცედენტოდ მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას, რასაც ვერ ახერხებდა აქამდე შექმნილი ვერცერთი მეთოდი.“ ამ ინოვაციამ მყისიერად მიიპყრო ექსპერტთა ყურადღება. იგი მალე დაინერგება ზურა ქევანიშვილის მიერ შექმნილ პლატფორმა ChessRyu-ზე, რათა მოახდინოს რევოლუციური გარდაქმნა და ჭადრაკის მაგალითზე უზრუნველყოს ონლაინ თამაშის სამართლიანი მიმდინარეობა.

გზა აღიარებამდე

ზურას თავგადასავალი DeepSec-ის სცენაზე გამოსვლამდე გაცილებით ადრე იღებს სათავეს. ჯერ კიდევ „ევროპულ სკოლაში“ სწავლისას იკვეთებოდა მისი გატაცება ტექნოლოგიებითა და კიბერუსაფრთხოებით. კონფერენციებზე ახალი იდეების წარდგენა TEDx ღონისძიებით დაიწყო, გაგრძელდა სხვა საერთაშორისო პლატფორმებზე, როგორიცაა Ivus ლიეტუვაში, CyCon ესტონეთში, DeepSec-ზე გაკეთებული პრეზენტაცია კი გადამწყვეტი მომენტი აღმოჩნდა.

„DeepSec კონფერენციას უკავშირდება დარგის ცნობილი სახეების მონაწილეობა. ამის გათვალისწინებით, კომისიის მიერ ჩემი ნაშრომის შერჩევა ნამდვილად მნიშვნელოვანი მიღწევა იყო“, - ამბობს ზურა. „DeepSec -ზე დარგის ლიდერებისა და ექსპერტების აღიარებამ დამანახა, რომ სწორ გზაზე ვდგავარ და მომცა მოტივაცია, ხელოვნური ინტელექტისა და კიბერუსფრთხოების უსაზღვრო შესაძლებლობები ვიკვლიო და დავნერგო.”

ზურა ქევანიშვილის ნაშრომის მნიშვნელობა ნათელყო ინდუსტრიის ლიდერთა დაინტერესებამ დეტექციის სისტემის პრაქტიკული გამოყენებით. ზურას უნარმა, შთამბეჭდავად წარმოადგინოს კომპლექსური ტექნიკური იდეები, გამორჩეული შეფასება მიიღო.

მომავლის პერსპექტივები



ზურას წარმატების ისტორია არის დასტური იმისა, თუ რა შესაძლებლობები ჩნდება, როცა გატაცება, შემოქმედებითობა, შეუპოვარი შრომა ერთიანდება რაიმე წამოწყების ირგვლივ. ზურა ქევანიშვილის მიერ „ევროპული სკოლიდან“ კიბერუსაფრთხოების გლობალურ კონფერენციამდე გავლილი გზა წარმატების მხოლოდ დასაწყისია. წლებთან ერთად გამოჩნდება მისი ინოვაციების ზეგავლენა ხელოვნური ინტელექტის, კიბერუსფრთხოებისა და ონლაინ ჭადრაკის სფეროებზე.

ქეთევან ნაჭყებია
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი